ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება #336

15 ოქტომბერი 2019 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის „ა“ ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის #669-ე დადგენილების მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტისა და 34-ე მუხლის შესაბამისად და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 სექტემბრის #330 განკარგულების, ასევე, “ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების საუქციონოდ მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 05 სექტემბრის #987 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2019 წლის 08 ოქტომბრის #15133-02 რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა დანართი #1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი რუსთავი, ბოსტან–ქალაქის №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ლევანი ონიანი

საკრებულოს თავმჯდომარე